სეზონის მთავარი მატჩი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 22 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) - “ტორპედო” (მოსკოვი) - 3:1 (1:0).

“დინამაო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

“ტორპედო”: კავაზაშვილი, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, სარაევი, ვორონინი, მეშჩერიაკოვი, სოლოვიოვი, ივანოვი, შჩერბაკოვი, ბატანოვი (სიდოროვი), სერგეევი.

მსაჯი: ჰ. ბელოვი (ლენინგრადი).

ისეთ დიდმნიშვნელოვან მატჩში, სადაც ერთმანეთს ხვდება ჩემპიონობის ორი კონკრეტული კანდიდატი, ბევრი რამ თავშივე ნათელი ხდება ხოლმე. “დებიუტს” შეუძლია სერიოზული გავლენა იქონიოს თამაშის შემდგომ მსვლელობაზე.

ასე იყო თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ტორპედოს” გუნდების მატჩის დასაწყისში. თავიდანვე ცხადი შეიქნა, რომ თბილისელები ტორპედოელებზე უფრო მეტად იყვნენ მოსაგებად განწყობილი. რა თქმა უნდა, სწორად მოიქცნენ დინამოელები, როცა თამაში დაიწყეს უკიდურესად მაღალ ტემპში, სწრაფად, მწვავედ, როცა პირველებმა მიაღწიეს სერიოზულ უპირატესობას მინდვრის შუაგულში და მეტოქეს აგრძნობინეს, რომ გამარჯვების სადავეები მათ მტკიცედ უპყრიათ ხელთ. პოზიციური ბრძოლის წარმოების შემთხვევაში ჩვენი გუნდის მთავარი კოზირი - სისწრაფე და ტემპი - მეორე პლანზე გადავიდოდა, რაც ტორპედოელთათვის აშკარად ხელსაყრელი იქნებოდა.

მე არ ვეთანხმები მოსკოვის “ტორპედოს” უფროს მწვრთნელს ვ. მარიენკოს, რომ თამაში თანაბარი იყო. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ათიოდე წუთს, როცა სტუმრებმა საპასუხო გოლი გაიტანეს და ინიციატივასაც დაეუფლნენ, თამაში დამაჯერებლად მიჰყავდათ თბილისელებს და იგრძნობოდა, რომ ისინი დარწმუნებული იყვნენ გამარჯვებაში. ტოლფასოვანი გუნდების შეხვედრებში კი ასეთ რწმენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

“დინამოს” დაცვის წინაშე იდგა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანა: ივანოვის ნეიტრალიზება. უამისოდ წარმატების მოპოვება ძალზე გაძნელდებოდა. ეს მეტისმეტად რთული ფუნქცია დაევალა ზეინკლიშვილს და ჩვენმა სტოპერმა, შეიძლება ითქვას, კარგად გაართვა თავი მას. მართალია, პირველ ხანებში თბილისელი ხშირად ტოვებდა ზონას და შორს მიჰყვებოდა ივანოვს, მაგრამ შემდგომში ზეინკლიშვილი სწორად მოქმედებდა როგორც ორთაბრძოლისას, ისე საერთო ანსამბლში.

დინამოელებმა ყველა ხაზში დაჯაბნეს მეტოქე. თავდასხმის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ პირველ ხანებში თამაშს გამორთული იყო მესხი, მაგრამ შემდეგ, როცა სიმძიმე თანაბრად იქნა განაწილებული შეტევის მთელ ფრონტზე, “ტორპედოს” დაცვას და მეკარეს ძალზე მძიმე დატვირთვა დააწვათ. ისე დამთავრდა მატჩი, რომ ტორპედოელებმა ვერ დააღწიეს თავი მოკლე, განივ გადაცემებს, ვერ შეძლეს ტონი მიეცათ თამაშის მსვლელობისთვის.

მეტად ეფექტური და ლამაზი იყო პირველი გოლი “ტორპედოს” კარში. დინამოელებმა 35-ე წუთზე შუა მინდორში გაითამაშეს კომბინაცია და მარცხენა ფლანგზე ბურთი სწორედ მაშინ გადასცეს, როცა ანდრეიუკმა დატოვა მესხი (ამ მომენტში ძალზე დახვეწილად ითამაშა ბარქაიამ). “დინამოს” მარცხენა გარემარბის მოკვეთილი, ზუსტი დარტყმის წინაშე კავაზაშვილი უძლური აღმოჩნდა - 1:0.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსკოველებმა ინიციატივა ხელში აიღეს მეორე ტაიმში, საპასუხო ბურთის გატანის შემდეგ. ჩემი აზრით, თბილისელებს შეეძლოთ არ გაეშვათ ბურთი. მცველებმა სწორედ ვერ გაინაწილეს შეტევაზე მყოფი მოპირდაპირე მოთამაშეები და ვორონინს საშუალება მიეცა ახლო მანძილიდან გაეთანაბრებინა ანგარიში. მაგრამ ამ მომენტში ჩვენს გუნდს აღმოაჩნდა საკმაო ნებისყოფა და რწმენა საკუთარ ძალებში, რომ არ დაეთმო ის, რაც მას უკვე მოპოვებული ჰქონდა და სასიხარულოა, რომ ამ ძვირფას, მეტად საჭირო თვისებას დინამოელები ავლენენ არა ეპიზოდურად, "აფექტის" სახით, ეს მათ დამახასიათებელ ნიშნად იქცა. ბრძოლა საჭიროა მთელი 90 წუთის განმავლობაში! გაწეული შრომა უცილობლად მოიტანს ნაყოფს.

ასეც მოხდა: თბილისელები კვლავ ენერგიულად ამოქმედდნენ და მეტოქის ჭარბი ძალების წინაშე "ტორპედო" იძულებული იყო უკან დაეხია. მე-60 წუთზე დათუნაშვილმა კარგად ჩამოაწოდა კუთხური, მეტრეველი აუხტა მასზე გაცილებით ტანმაღალ მცველებს და თავით გაგზავნა მეორე ბურთი ბადეში - 2:1.

მესამე გოლმა წერტილი დაუსვა თბილისელთა გამარჯვებას. იამანიძემ საკმაოდ შორი მანძილიდან შეუჩერებლად დაარტყა კარში და კავაზაშვილმა მესამედ გამოიტანა ბურთი ბადიდან - 3:1.

დინამოელთა ამ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მთავარი კონკურენტი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მოცილებულია. ჩვენმა გუნდმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ მისი პრეტენზიები უმაღლესი საფეხბურთო ტიტულის მოპოვებაზე ყოველმხრივ დასაბუთებული და გამართლებულია.

რამდენიმე სიტყვა არბიტრზე. მატჩი ძალზე ძნელი სამსაჯო იყო. პ. ბელოვმა ჩათვალა 30-ე წუთზე დათუნაშვილის მიერ ტორპედოლეთა კარში გატანილი გოლი, მაგრამ შემდეგ დაეთანხმა გვერდით მსაჯს თავდამსხმელის თამაშგარე მდგომარეობის ფიქსირების თაობაზე. ბელოვი ახლოს იმყოფებოდა ამ პოზიციაში და ვფიქრობ, მას აღარ ჭირდებოდა კონსულტაციები. ამიტომ ერთხელ მიღებული გადაწყვეტილებაც არ უნდა შეეცვალა.

ნ. ჩხატარაშვილი,

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

"ლელო", 24 ოქტომბერი, 1964 წ.